

572 /  
1969 / 2

1969 ՎԵՆԵՅՅԱՆԻ N12

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ  
ՆՈՒՆԱԿԱՆԱԿ



## ჩივო, შენს პირს შეაქარი!

იორაჲ ჲმერკველიჲ

უსტვენს ჩიტი ჩიტუნა:  
— გუნდაობა ვის უნდა?—  
თოვლი, თოვლი მოსულა,  
დაფარულა მთა-ბარი...  
— ჩიტო, შენს პირს შეაქარი!  
— ჩიტო, შენს პირს შეაქარი!

უსტვენს ჩიტი ლაბუა:  
— მოდის თოვლის ბაბუა;  
მოაქვს კომში და ჩირი,  
ჩურჩხელა და კაკალი...  
— ჩიტო, შენს პირს შეაქარი!  
— ჩიტო, შენს პირს შეაქარი!

ნახატი ნოდარ გუგუშვილისა



# ლენინი სოკოლნიკი

ა. კონოპნი

ნახატი ნ. შაქოვისა

სოკოლნიკის საბავშვო ბაღში ნამ-  
ვისებს რთავენ.

საღამოსათვის ნამვისსე მხად იყო.  
რადა არ ეკიდა სედ: დათვები, კურდღ-  
ლები, სწილოები.

თოვლის ბაბუა ნამვისის კენწეროზე  
იჯდა.

ეგლანი ლენინს უცდიდნენ.

გარეთ ქარბუქი იდგა და ვერც კი  
გაბიგეს, ისე მოადგა საბავშვო ბაღს  
ავტომობილი.

მანქანიდან ვლადიმერ ილიას ძე  
ლენინი გადმოვიდა.

ვლადიმერ ილიას ძემ შემოსვლისთა-  
ნავე წაღყო კაისადა და დარბისნაკენ  
გაეშურა. ბავშვებსა უძალვე იცნეს ლე-  
ნინი, მადრამ შეჭურებდნენ და ხმის ამო-  
ღება ვერ მოეხერხებინათ.

— აბა, რომელმა თქვენგანმა იცის კატა-  
თაგობანას თამაში? — იკითხა ვლადიმერ  
ილიას ძემ.

ბირველად ეგლასე უფროსმა გოგონამ,  
ვერამ უძახუნა:

— მე!

— მეც! — წამოდხანა ლიოშამ.

— ჰოდა, სწორედ შენ იყავი კატა! —  
უთხრა ვლადიმერ ილიას ძემ.

ბავშვები ნამვისის გარშემო შეგროვ-  
დნენ.

თავკად წატარა კატია ბინჩის.

ლიოშა კატას გამოუდგა, კატა კი



ლენინს ჩაეჭიდა, ვლადიმერ ილიას ძემ იგი  
სეუღში აიუყანა:

— კატა თავს ვერ მისწვდება!

შერე თავი სენია იეთ; ლიოშამ იგი დაი-  
ჭირა და ახლა თვითონ გასდა თავი, სენია  
კი — კატა.

დიდხანს ითამაშეს, ფერსულიც ჩაბიეს.

წატარა კატა ვლადიმერ ილიას ძესთან  
სელხავედებული დარბადა.

ამ დროს ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა  
კრუნსკაიამ და ვლადიმერ ილიას ძის დას,  
მარია ილიას ასულმა, ოთხში წაჩუქრებთ  
სავსე კალათა შემოიტანეს.

ეს წაჩუქრები ბავშვებისათვის ლენინს  
მოეცანა.

1601



მუსიკა გიორგი ლავიტაძევილისა

ლექსი ალექსო მენდელიანისი



# თოვლის ჰასა მოვიდა

გესმით კარის კაკუნი?  
თოვლის ჰაბა მოვიდა,  
დაღლილია, ეტყობა,  
მოზრძანდება შორიდან.

მოგვახარებს ახალ წელს,  
მოვა, მოგვეფერება,  
და საყვარელ ბავშვებთან  
მოაქვს ბედნიერება.





# მზიას პაპა



## გიორგი პაპაშვილი

— ახალი წლის შესახვედრად ვემზადებით,— თქვა ლიამ.

— ჩვენც, — უპასუხა მზიამ, — ამაღამ თოვლის პაპა მოვა და მოგვილოცავს.

— თოვლის პაპა არა! — ტუჩი აიბზუა ლიამ, — თოვლის პაპა სითბოზე ხომ სულ ჩამოდნება.

— აბა, ნახე, თუ არ მოვიდეს.

— ვინ მოგატყუა. თოვლის პაპა კი არა. ჩემი კარგი პაპა გვილოცავს ხოლმე.

მზია დალონდა, მას ხომ პაპა არა ჰყავს, — ოდესღაც დიდი სამამულო ომი ყოფილა, იქ წაუყვანიათ და ვეღარ დაბრუნებულა. ლიას კი ისეთი თეთრწვერა პაპა ჰყავს, რომ ყველას ეხარბება. სოფლიდან კრელი ხურჯინით ჩამოიტანს ხოლმე თხილსა და კაკალს, ვაშლსა და მსხალს, კომშსა და ბროწეულს. ხურჯინის ცალ თვალში ხილი ალაგია, მეორეში — ინდაური და ქათამი, შოთი პურები და ნახუქები.

## ნახატები ზურაბ პაპანაძისა

მზია მოწყენილი დაბრუნდა შინ. დედა გოზინაყს აკეთებდა, ბებია ქათამს ფუფქავდა. მამა კი ღორის თავს ასუფთავებდა.

ალექსი და ავთანდილიც იქვე ტრიალებდნენ. ყური ცქეცტად ეჭირათ და რასაც მშობლები დაავალბდნენ, ყველაფერს აკეთებდნენ. ხან იქით გარბოდნენ და ხან — აქეთ.

— მეც მოგეხმარებით. — თქვა მზიამ.

— შენ აქ მოდი და ცხვირწინ დამიჯექი, ხელგბში მიყურე. — უთხრა მამამ, — შენი მოხმარებაც ეს იქნება.

მზიას გაუხარდა. ასე ხშირად ეტყვის ხოლმე მამა. ისიც მივა და ფისოსავით წამოსკუბდება სკამზე. თან მამას შესციცინებს და თან ათას რამეზე ეტიტინება. ახლაც ძველებურად მოიკალათა მამის წინ. მამის ღონიერ ხედვებს დააქტვრდა. მერე ვეცბა მკლავებს შეეღო თვალი, მერე — განიერ მხარ-ბეჭს მიაჩერდა.

— მამა, პაპა არ დაბრუნდება ომიდან? —  
მოულოდნელად შეეკითხა მზია.

მამამ მხრები აიჩჩია.

— არ ვიცი, შეილო... შეიძლება დაბრუნ-  
დეს.

— ჩვენ ვინ უნდა მოგვილოცოს ახალი  
წელი?

— ენა და... თოვლის პაპამ.

— ლიამ თქვა, არ მოვაო.

— ლიამ რა იცის!

— სითბოზე დადნებაო.

მამამ გაიცინა, ღორის თავი ყურით შეა-  
ტრიალა.

— ჩვენთან ისეთი თოვლის პაპა მოვა,  
სითბო ვერაფერს დააკლებს. აი, ამაღამ ნუ  
დაიძინებ და ნახავ!

— არ დავიძინებ, დედას გეფიცები, არ  
დავიძინებ.

— მაშინ ახლავე დაიძინე, რომ ახალწლის  
დადგომამდე გაგელვიძოს.

— კარგი, დავიძინებ.

მზია მეორე ოთახში გავიდა და თავის სა-  
წოლში ჩაგორდა. ერთ ხანს ლოგინში იწ-  
რიალა და ბოლოს, როგორც იყო ჩაეძინა.  
მაშინლა გაეღვიძა, ალექსიმ ტაში რომ შე-  
მოჰკრა და დაიძახა:

— ოცი წუთილა აკლია, ვაშა!

— თოვლის პაპა ხომ არ მოვიდა?! — იკ-  
ითხა შემკრთალმა მზიამ.

— ჯერ არა, ოცი წუთილა აკლია. ჩქარა  
აღეკი, თორემ ლოგინში მოგისწრებს! — გას-  
ძახა ალექსიმ.

მზია ფატიფუცით წამოხტა და ძმებთან  
გავიდა.

— მამა სად არის?

— მეზობლებმა დაუძახეს.

მზიას ცოტა არ იყოს ეწყინა, მაგრამ ხმა  
არ ამოუღია.

— თოვლის პაპა ნამდვილად მოვა? — ჰკი-  
თხა ძმებს.

— მოვა, — მიუგო ალექსიმ.

— ლიამ თქვა, არ მოვაო.

— იმან რა იცის.

— თოვლის პაპა სითბოზე დადნებაო!

— ჩვენთან ისეთი თოვლის პაპა მოვა,  
რომ სითბო ვერაფერს დააკლებს. — გაიღიმა  
ავთანდილმა.

და-ძმანი გულისფანცქალით შეჰყურებდნენ  
საათს. ალექსი კი ხმამაღლა ითვლიდა.

— თხუთმეტი წუთილა აკლია... თორმე-  
ტი... ათი... რვა... ხუთი... აი, საცაა, დააკ-  
უნებს თოვლის პაპა.

ამ დროს მართლაც გაიღო კარი და ოთა-  
ხში თოვლივით გათვრებული ბერიკაცი  
შემოვიდა. ცალი ხელით ყავარჯენს ებჯი-  
ნებოდა, მეორეთი სინი ეჭირა. სინზე კი რა



ალარ ეწყო: თხილი და კაკალი, ვაშლი და მსხალი, კომში და ბროწეული. ქათამი და გოზინაყი...

— მომილოცავს ახალი წელი! — თქვა ბოხი ხმით მოხუცმა, სინი მაგიდაზე დადგა, ბავშვებს სათითაოდ ჩამოურიგა ტუბილეული და გულიანად გადაკოცნა: — ასე ტუბილად დამიბერდით! გამრავლდით და გაიხარეთ!

მზიამ თავით ფეხებამდე შეათვალიერა თოვლის პაპა და მამის შარვალი შეიცივნო, მერე სახეზე დააკვირდა და თეთრი უღვა-

შების ქვეშ შავ უღვაშებსაც მოჰკრა თვალი. თვალებიც სწორედ მამასავით უცინოდა.

— თოვლის პაპე, შენ ვინა ხარ? — ჰკითხა მზიამ.

— თოვლის პაპა ვარ, შვილო.

— არა ხარ თოვლის პაპა. შენ ჩემი პაპა ხარ. ხმა არ ამოიღო; ჩემი პაპა ხარ. ყოველ ახალ წელს მორდი ხოლმე და ასე მოგვილოცე.

ალექსის და ავთანდილს ფხუკუნი აუტყდათ. მზიამ კი უკან ალარ დაიხია:

— ხმა არ ამოიღო. შენ ჩემი პაპა ხარ. ყოველ ახალ წელს მორდი ხოლმე და მოგვილოცე!

— კი, შვილო, შენი პაპა ვარ. ყოველ ახალ წელს მოვალ და მოგილოცავ.



# ქანაღოთქელი

გივი ძნალაძე

თითქოს ერთბაშად აქლერდა უღამსესი ჰანგები:

გუდსტეკერი და ფანდური, ჩონგურები და ჩანგები...

გამთისფდეთ, შენდეთ, — სურჯინებით და აბგებით —

კადიმებულნი მოდიან ჩუჩი კეთილი ჰანგები.

მოდიან, მოაქვთ სახუქრად ფონებანი „კაპები“,

ცინცხალ-ცინცხალი ლექსები, ფერად-ფერადი სღანრები...




ელეარ  
აგოსაჰა

ნახატეზი  
ავგოსისა

# ციცქნა-ბიჭის თავპალასავალი

დასასრული




შოშიები თხილ ქვეყნებში გადასაფრენად ემზადებოდნენ. გადაწყვიტეს, ციცქნა-ბიჭიც თან წავიყვანოთ და იქ გავასამართლოთ.



ერთმა შოშიამ ციცქნა ზურგზე შეისვა და გზას გაუდგინა.

გზაში გაწვიმა და სეტყვა წამოვიდა. ერთი დიდი ზოშკაქალა შოშიას თავში მოხვდა და დარეტანებული თვედამა დაეშვა.



ციცქნა-ბიჭმა უღრან ტყეში ხავსიან მილზე მოაღინა ბრაგვანი.

გონზე რომ მოვიდა, დანახა: თავზე ციყვი ციქლა და ზღარბი ნემსა დასდგომოდნენ და თხილის ნაქუქით წყალს აკურებდნენ.



ცელქა და ნემსა თხილითა და ვაშლით გაუშასანიძოდნენ ციქქანს.

ამ დროს სად იყო, სად არა, მელისა გამოჩნდა. ზღარბი შოშისაგან ისე მოიკუნტა, ეკლის ბურთს დაემსგავსა, ციყვი ხეზე შეხტა.





ციცქნა-ბიჭსაც შეეშინდა. წაბლის ბუჭი ნახა. შიგ შეძვრა და დაიძალა.

მელიას ციცქნა-ბიჭი ზღარბი ეგონა და აბა, რას დააკლებდა, — კუდამოძუებული გაბრუნდა.



ღარჩა ციცქნა-ბიჭი ტყეში, მალე ხეებს ფოთლები დასცვივდა, თოვლიც მოვიდა. მარტო ნაძვი იყო მწვანე.

ციცქნა-ბიჭი ნაძვზე ავიდა და ერთ გირჩაზე დაბინავდა გამოსაზამთრებლად.



ერთხელ ტყეში ვიღაც კაცი მოვიდა. ციცქნა. არც შერუმჩნევია, მოჭრა ნაძვი და წაიღო.

კაცმა ნაძვი შინ მიიტანა, დაღვა და სახაზღლო საჩუქრებით მოართო. მაშინდა შეამჩნია ციცქნა-ბიჭი.



იმ ვაცის ბავშვებს, სათამაშოებზე უფრო, ციცქნა-ბიჭის დანახვა გაუხარდათ. ნაძვის ხეზე პატარა სახლი გაუკეთეს.

ციცქნა-ბიჭი ახლაც ნაძვის ხეზე ცხოვრობს. კეთილ ბავშვებთან არც სიცივის ეშინია და არც — შიმშილის.



ქაყა ნიყა 'თნიტნიტნი  
'რნიტნიტნი ატნიტნიტნი  
'საყანიტნი 'სანიტნიტნი  
'ნიტნიტნიტნი

ქაყანიტნი ატნიტნიტნი  
'ნიტნიტნიტნი 'სანიტნიტნი  
'სანიტნიტნი ატნიტნიტნი  
'ნიტნიტნიტნი

'სანიტნიტნი 'სანიტნიტნი  
'ნიტნიტნიტნი ატნიტნიტნი  
'სანიტნიტნიტნი ატნიტნიტნი  
'ნიტნიტნიტნი

რეცეპტები



შატერატი  
ზურაბ ჭრეჭრე

ლილას „ბიბლიოთეკა“



კუკური ზომიანული




‘ღღმენიღღინ  
ღრევსჯალ ვლ  
‘ღღმენიღღინ  
ღნელ ეგნლელ

ღ გ დ ზ ე ლ

ქსთღვავ  
ეფღღინ ნიღღმასა  
‘ეღღე ლა ‘მღღენ  
‘აწი ეგნნინი  
— ...ანთაღღლსა  
სღღმენიღღყაღღყ ‘ეღ  
‘ღმნმტ მლღღ  
ღენიღმასღ ‘ანნინი —

ღაღღე ლღ სღღნა



ზ ყ ე ზ ბ ი

- ტყეში ყველა გაინაბა:  
 — ეს ვინ მოღღის?  
 — თოვლის ჰაპა!  
 — თან რა მოაქვს?  
 — ტკბილეული.  
 — გოზინაყი.  
 — ხილეული.





# პაპა ზიოს მარანი



## პაპა ჩაქალილი

ახალი წელი თენდება და შიო პაპა უთენია ადგა. ეზოში მუხლამდე იღო თოვლი. შიო პაპამ ჩიბუხს მოუკიდა, ნიჩაბი ქონით გაპოხა და ჯერ მარნამდე გაკვდა თოვლი და მერე — გომურამდე.

ამასობაში კიდევ გათენებუდიყო და ახლა შვილიშვილები დააღვიძა: ადექით, ახალი წლის დღეა გათენდა, ძილი და სიზარმაცე არ დაგვიკვებოთო.

გოგო-ბიჭები ეზოში რომ გამოიშალნენ, შიო პაპა უკვე მარანში ტრიალებდა. ტაბდა ხილითა და ტკბილეულით ავესო.

— აბა, დასხედით. თან ხილი მიირთვით და, თანაც ყური დამოგდეთ...

— ჰო, ჰო! პაპა შიო, გვიამბე, გვიამბე...

— აი, უკვე ახალი წელია! ჰოდა, მეც საახალდლო ზღაპარს გვიამბობთ...

## შეჯიბრი სკოლის სასახლეში

ერთი დათვი და მეღა იყო... — შიო პაპამ ჩიბუხი გაბოღა, — მოდი, სპორტის სასახლეში წავიდე, დიდი ზეიმია; ვისაც საბამთროდ ეძინა, ყველა დაუღვიძებიათ, საახალწლო შეჯიბრს აწყობენო. — უთხრა მეღაკუდამ დათუნას.

— წავიდე, დავესწროთო, — გაუხარდა დათუნას.

ნახატები პლ. აბოქაძისა

სპორტის სასახლეში უამრავ მწერსა და ცხოველს მოეყარა თავი და შეჯიბრების დაწყებას მოუთმენდად ელოდნენ.

აი, გაისმა მუსიკის ხმაც. მოედანზე შეჯიბრის მონაწილეებმა წრე შემოუარეს და... შეჯიბრიც დაიწყო.



პირველად ტიანტეველა გამოცოცდა. თავის წონასთან შედარებით ორმოცდათორმეტჯერ მეტი სიმძიმის კენჭი აიღო და გვერდზე გადაიტანა.




მერე ხოჭოებში ყველაზე დიდი და ლონიერი ირემი ხოჭო გამოვიდა, ასოცდაორჯერ მეტი სიმძიმის მაჟალის ჩაეჭიდა და მოშორებით გადააგორა.



ახლა ბზიკი კვდა გამომძვრა. ეცა თავის წონაზე სამჯერ მეტი სიმძიმის კაპუტს და გადაათრია.

გაბედულად გამოვიდა ყურბელა ლონიერა, მძღვრად ჩაეჭიდა ტიგოს ნატეხს, საკუთარ წონაზე ხუთას ოცდაათჯერ მეტს რომ იწონიდა, და შორიანდო მიაგდო.

— ვაშა, ახად ჩემშიონ ყურბელა-ლონიერას, ვაშა! — ატყდა მწერთა ყურთასმენის წამლები წრიპინი და ფრთების ფართქენი.



პირველობისათვის ხტომის ოსტატებიც შეიბნენ: ყველას კუტკადია ისარამ აჯობა, — დაჭკრა ფენი, ისკუპა და ოცი თავის სიმაღლეზე გადახტა. ამ ნახტომს ისეთი შეძახილები მოჰყვა, კუტკადია — ისარა მიხვდა, გავიმარჯვე და ეს არიო; გახარებული წამოხტა, კისერი მოიღერა და ამაყად ჩაიარა.



შეჯიბრი დამთავრდა თუ არა, მწერები აიშალენ და დასაძინებლად სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ.

— გაზაფხულამდე, ჩემო კეთილებო, გაზაფხულამდე! — ასე ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს.

# საჩუქარი

ხალხური

ერთმა ღარიბმა გლეხმა თავის ბაღაში ძალიან ლამაზი და დიდი გოგრა იპოვა. გაუხარდა — მეფეს მივართმევ და ესიამოვნებაო. ასეც მოიქცა.

მეფეს ძალიან მოეწონა ეს უბრალო საჩუქარი და კარგადაც შეიწყალა ღარიბი, — აიღო და, საუკეთესო ცხენი აჩუქა.

გლეხმა მადლობა გადაუხადა და შინსაკენ გასწია. გზაზე მდიდარი ვაჭარი შემოეყარა.

ვაჭარმა გლეხის მხიარულების ამბავი რომ შეიტყო, შეშურდა, იფიქრა: ამას თუ მეფემ ერთ გოგრაში ასეთი ცხენი აჩუქა, მე რომ ჩემი ლურჯა ცხენი მივართვა, ალბათ ოქრო-ვერცხლით ამავსებსო.

ეახლა ვაჭარი მეფეს და ლურჯა ცხენი მიართვა.

მეფემ შეათვალღერა ვაჭარი, მერე ვეზირებს უხმო:

— ამ კაცს ის გოგრა აჩუქეთ, ღარიბმა რომ მომართვაო.

ვაჭარი გაწიბილებული გამობრუნდა. ვეებერთელა გოგრას ჭაბანწყვეტით მიათრევდა შინსაკენ და თავბედს იწყევლიდა.

ჩაიწერა ლალა გვირვანა.  
ნახატი თაბაზ ხუსივილიძე





# ყინველი





ბრუნა ჩანჭაძე

ახალი წლის წინა ღამეს ბაჯბაჯა დათუნია მტყიდან ასეთი შეკითხვები გამოუგზავნა ზარმაც-კიკოს, — თუ გამოიცნობ, საახალწლოდ თაფლს არ მოგაკლებო.

ზარმაც-კიკომ იფიქრა, იფიქრა და აი, რა მიუხატა შეკითხვებს.

ბავშვებო, აბა დააკვირდით, ხომ არ ცდება ზარმაც-კიკო?!



1. — ვინ არის ყველაზე ეშმაკი?—ვინ და...
2. — ვინ დარაჯობს საქათმეს?—ვინ და...
3. — ვინ არის ყველაზე ღონიერი?—ვინ და...
4. — ვინ გვალვძიებს დილით?—ვინ და...
5. — ვინ არის ყველაზე ჩერჩეტი?—ვინ და...



# ბუკჩინი



ქაქუცავჟი



## ზამთარი

გიორგი მავრავალი

ციდან ცვივა  
თოვლის ფიფქი,  
ზურიკელა  
ცივით მიჰქრის...  
უკან მისდევს ბროლია, —  
გადარბენა ჰგონია.






ზურაბ თოილაძე  
გამორეკავს

•  
წინ ხერხი, უკან ნამგალი,  
სახელად ჰქვია.....

•  
ხენუმის, ეშვი აქვს ორი,  
სახელად ჰქვია....

•  
ზეციდან მოდის  
თეთრი სტუმარი,  
ხელად გაქრება —  
სითბო თუ არის!

•  
მწვანედ გამოდის, წითლდება,  
შავდება, როცა მწიფდება.



### მურადღება!

ბავშვებო, „დილის“ მეორე ნომრის თემა იქნება ჩვენი საქმობლო—საქართველო: მისი მთები და მინდვრები, ზღრები და ტყეები, ქანსნები, ბღები... უგღაფერი, რც თქვენს თვღწინა, რც გიგბართ და გიტანებო.



მთავარი რეღაქტორი მუხრან მანუკიანი.

სარეღაქციო კოღეგი: ანკური გომიგზვილი, ლიღა ჰრაბი, ჭიღალ ლოღა, ჯარაბ ლოღიბი, მავალა გიგვიღიღიღი.

ორბი მემბრბღიბი (მ/მგ. მღვიანი), ზღაზღ ცხაღაბი (სამბატერი რეღაქტორი), გიბი მწიღაბი.

საქ. აღკ ცენტრალური კომიტეტიბა და ვ. ი. ლენინის სახეღობის ნორს პიღნერთა. ორგანიზაციის რეღაქტორიბა სამკოტე ვურნაღი უღაზე ნახატო ზარაბ ზორსნიღისა.

გამოცემის ღღე წელი. ტექნეღაქტორი ბ. რიღნიღიღიღი

რეღაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: 93-41-30, 93-98-18. რეღაქციიზი ზემსული მისაღები ავტორებს არ დღებუნღებო.

გაღაცა ბაწეღობა 15/1X69 წ. ხელმოწერიღა ღსბბღღაღ 11/1X69 წ. კღღაღის ზიზა 60X90/წ. ფიზიკური ნბბღღი ფურცელი 2.5.

შეგ. № 2719; ტირაფი 131.800 საქ. კ ც-ის გამოცემღობის სტამბა, თბღისი. ლენინის ქ. № 14. ფბი 20 კაბ.

«დიღა» № 12 ნა გრუზინსკო ეზყე. Типография изд-ва ЦК КП Грузии, ул. Ленина, 14.

საქ კ ც-ის გამოცემღობა Издательство ЦК КП Грузии



ნაჭვისხეხთან—ნახატი ნანა ჭვანიახი, 6 წლის, თბილისი.

ნატურმორტი—ნახატი დალი ბულკაშვილმა, 8 წლის, ახმეტა.

წაფევი თოვლში—ნახატი მამუკა ჩხეიძისა, 6 წლის, თბილისი.

თუფრი ღამე—ნახატი მათა სტიმაცელია, 7 წლის, თბილისი.

აქლემი—ნახატი მუხრან შერვაშიძისა, 6 წლის, ალგირი.



76055